რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში, ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში „დროების" რედაქციაში, ქუ-თაისში ჭილაძის (ვერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელისმომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

პატარა ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება"

პირველის მაისიდამ წლის დასასრულამდინ ღირს ექვსი მანეთი.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 24 მაისს. „მთავრობის მოამბეში" დაბეჭდილია: სტატს-სეკრეტარი გრაფი იმპერატრიცა მარიამის სახელობის უწყების მთავარ გამგებლად დაინიშნა.

„გოლოსში" დაბეჭდილია: დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს-ძე დაათვალიერებს ნიკოლაევის, ფოთის და ბათუმის ნავსადგურებს.

პეტერბურღის ბირჟა, 24 მაისს.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 93 | 25 |
| მეორესი — — — — | 90 | 50 |
| მესამესი — — — — | 90 | 62½ |
| მეოთხესი — — — | 90 | 50½ |
| მეხუთესი — — — | 90 | 50 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89 | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89 | 62 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89 | 82 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 | 5 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 217 | „ |
| მეორე სესხის — — | 210 | „ |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—28 | პენსი |
| ჰამბურღი — | 207—12 | ცენტი |
| პარიჟი — — | 255—25 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## ქუთათური ამბები

### ბანკის წევრთა კრება.

სხდომა მეორე, 19 მაისს.

დღეს არის 195 წევრი 277 ხმის მქონი.

დილის თერთმეტ საათიდამ ნაშუადღევის ოთხ საათამდე ბევრი აყალ-მაყალი, ბაასი და დავიდარაბაა, და საქმე კი ერთი ბისტის არა გაკეთებულა-რა...

დ. ნაზაროვს წინადადება შემოაქვს, რომ ბანკის ანგარიშის დამტკიცებამდე დაინიშნოს სარევიზიო კომმისია, რომელსაც ერთიოდე თვე მიეცეს ვადათ და ამ კომმისიის მოხსენების შემდეგ კი დამტკიცდეს ანგარიში.

აკაკი ამბობს: ეხლა სარევიზიო კომისიის დანიშნვა და იმის შედეგისათვის ერთიოდე თვით ლოდინი ყოვლად შეუძლებელია. უკეთესი იქნება მერმისათვის მოვიგვაროთ იმისთანა ღონის-ძიება, რომ რევიზია ეხლანდელ ზედამხედველ კომიტეტის გარდა სხვა, ამისათვის საგანგებოდ ამორჩეულ პირთაგან ხდებოდეს. ამითი ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ ზედამხედველი კომიტეტი ნდობის ღირსი არ არის-მეთქი, მაგრამ შეიძლება ამ კომიტეტს იმ ნაირივე შეცდომა მოუვიდეს თავის წადილის წინააღმდეგ, როგორც დაემართათ აქაურს საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში: სარევიზიო კომისიამ განიხილა, მაგრამ თქვენ მაინც გადაადებინეთ სხდომა და დანიშნეთ ახალი სარევიზიო კომმისია, რომელმაც მართლაც აღმოაჩინა რამდენიმე შეცდომები...

მელქ. ფედაკვა. იქ, ბატონო, შეცდომა იმიტომ მოხდა, რომ ანგარიში არ განუხილავს არც სარევიზიო კომმისიას, არც გამგეობის და არც რჩევას...

ეს სიტყვები ეკალსავით შეესო საურთიერთო ნდობის საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებიც ამ სხდომაშივე იყვნენ. ერთმა მათგანმა გამოაცხადა, რომ მ. ფალავა შემცდარიაო, სარევიზიო კომისსიამ განიხილა ანგარიში, მაგრამ თქვენ არ დაუჯერეთო და რევიზია მაინც დანიშნეთო...

ანტ. ლორთქიფანიძე დალაგებით ამბობს, თუ როგორ იყო საურთიერთო ნდობის საზოგადოების საქმე: სარევიზიო კომმისიის იმ წევრს მარტო ჰქონდაო ხელმოწერილი; როდესაც დაეკითხნენ, ერთმა მათგანმა სთქვა „რამდენიც შემეძლო კი გადაჭხედეო და წიგნებთან და სხვა საბუთებთან" არ შემისწორებია, რადგან დარწმუნებული ვიყავი სიყალბე არა იქნებოდა-რაო...

კირ. ლორთქ—მე აცხადებს, რომ „ყოველივე რაც აქ ანტ. ლ—ძემ ბრძანა, სრული სიცრუე და მოგონება, მხოლოდ სიტყვის მასალად ხმარებული. საურთიერთო ნდობ. საზოგადოების საქმეებზე ბევრი არის დაწერილი და კიდევ უფრო ბევრი დაიწერება და იქ დაინახავთ საქმის ნამდვილ გარემოებას...

ანნტ. ლორთ—მე. ბატონო კირილე! თქვენ თვითონ ბრძანდებით გაზეთის შრომის. მთავარი რედაქტორი და ნება მიბოძეთ თქვენსავე გაზეთში მოგახსენოთ პასუხი... (კრებაში ჩოჩქოლია. რამდენიმე წამი არაფერი ისმის. შემდეგ განაგრძობს): რაც შეეხება ახალის სარევიზიო კომმისიის დანიშნვას, მე სრული თანახმა ვარ ამისი. მხოლოდ ამ ერთი თვის განმავლობაში კი არ უნდა დაევალოს მას თავის ვალდებულების შესრულება, არამედ შემდეგ მორიგის კრების დროს მოგვახსენოს რევიზიის შედეგი, და ეს რევიზია უნდა უყოს ბანკის ყველა ანგარიშებს დაარსების დღიდამ...

კრებამ მიიღო ეს წინადადება და კომმისიის წევრთ ამორჩევა კი ბოლომდის გადადვა.

ალ. შურღაიამ წინადადება შემოიტანა, წესად მიიღოს ბანკმაო ანგარიშების ბეჭდვის გათავება და დარიგება ერთი თვით წინ კრებისათვის დანიშნულ დღისაო, რომ ყველას, ვისაც კი ჰსურს და შეუძლია, შეეძლოს ანგარიშის და, თუ საჭირო დარჩა, საბუთების და წიგნების განხილვაო. მაშინ ასე ბრმად კი აღარ, სრულის შეგნებით დავამტკიცებდით ანგარიშსო.

ამაზედ თუმც თავსმჯდომარემ უპასუხა, ჩვენთვისაც დიდად სასიამოვნო იქნება, რაც მალე დაიბეჭდებაო ანგარიში, მაგრამ კრებას არავითარი გარდაწყვეტილება ამ წინადადების შესახებ არ დაუდგენია...

კირ. ლორთქ—მე კიდევ იმეორებს გუშინდელ აზრს, რომ კენჭის გარდაცემის ბექილობათა მიღება სამი დღის წინედ გათავდესო.

ხმა კრებიდამ: ეს იქნება დამაარსებელთ განძევება ბანკიდამ და ვაჭრების ხელში ჩაგდება...

ამის შემდეგ მოხსენებული წინადადება უარყოფილი იქმნა და ანგარიში ბანკისა კრებამ დაამტკიცა.

თავსმჯდომარემ წაიკითხა ბანკის გამგეობისათვის დანიშნული ხარჯი. დირექტორთა ჯამაგირების თაობაზე ხანგრძლივი ბაასი ჩამოვარდა. ბევრი

---

«დროების» ფელეტონი, 26 მაისი.

## მამის-მკვლელი

(მოთხრობა*)

— მაშ არ იცი, არა? ცემით ეუბნებოდა უფროსი.

— ვიცი. უპასუხა მოხუცმა, თითქოს შეწუხებამ წარმოათქმევინა უნებურად.

— ძლივს! წარმოსთქვა უფროსმა და ღიმილით დაუმატა:—თითქოს არ უნდოდა თქმა?

— ძალა აღმართსა ხნავს! მეტი რა ღონე მქონდა რომ არ მეთქვა?

— არ იცოდი, რომ ეგრე იქნებოდა?... აბა მიანბე ყველაფერი დაწვრილებით.

მოხუცმა ჩაიცინა და უპასუხა:

— ბიანბო?... რაისთვის გიანბო? ყველაფერი ვიცი მაგრამ არ გიანბობ, ღმერთის მადლმა!

— რაო? მიუახლოვდა გაოცებული აფიცერი.

— მე ყველაფერი ვიცოდი.—ვიცოდი, რომ იაგო უნდა გაქცეულიყო, ვიცოდი ვინც იმის ამხანაგები იყვნენ, ყველაფერი ვიცოდი, ყველაფერი, მაგრამ შენ კი არ გეტყვი.

— მოგკლავ, ჩამოგახრჩობ! მივარდა უფროსი.

— რაც უნდა მიყო, ღმერთის მადლმა არ გეტყვი.

— მაშ არ მეტყვი?

— არა.

აფიცერმა გაიარ-გამოიარა და მიუბრუნდა კიდევ:

— ბირჩევ მითხრა, თუ თავი გებრალება.

— სიკვდილისა თქვენ გეშინიანთ, დიაცები თქვენა ხართ, მე რაი მათქმევინებს?... არ ვიტყვი აგრემც შემეწევა პირიმზე.

უ[illegible] [illegible]ელი მოცალეობა, ალ[illegible] თუ დაყვავება ამაოდ რჩებოდა და მოხუცს სიტყვა არ გააწყალა იაგოს გაქცევაზედ. ან რა უნდა ეთქვა, როდესაც თითონაც არა იცოდა-რა და მხოლოდ ისე ტყვილად მოიგონა უფროსის გასაჯავრებლად.

— მაშ არ იტყვი რაღა? უკანასკნელად ჰკითხა პყრობილს.

— არა.

— აბა! ანიშნა თვალით იქ მყოფს რუსებს და ერთს წამზედ იმათაც როზგები მოიტანეს.

— წამოაქციეთ! უბძანა ციხის ბატონმა და იმათაც აასრულეს ბძანება.

თავზედ და ფეხებზედ დაასხდნენ სალდათები, ორნიც აქეთ-იქით დაუდგნენ და დაუწყეს ტიტველა ხორცზედ უწყალოდ ცემა. პირველ დაკვრაზედვე ხორცი ჯერ გაწითლდა, მერე ლურჯათ გარდაიქცა, ბოლოს ყავარ-ყავარ დასქდა და სისხლმა ჩქეფით დაიწყო ამოდენა. წკეპლები დაიმტვრა და რამდენჯერმე გამოიცვალეს ახალ-ახალი კონები; გამოიცვალნენ მცემლებიც, რომელთაც ოფლი წურწურით გასდიოდათ დაღალვისაგან, მაგრამ გაკერპებულს ტუსაღს სიტყვა ვერ წარმოათქმევინეს.

— ყველაფერი ვიცი, გაზძახოდა ისა,—მაგრამ ძაღლებს არ გეტყვით, არა!

უოველ დაკვრაზედ ინსტიქტიური

*) „დროება", № 92.

მოკლებას თხოულობს და ზოგი ამისი წინაალმდეგია. თვით ზედამხედველი კომიტეტის წევრმა ბატ. მ. ღარახველიძემ წარმოადგინა თავისი აზრი, რომ, რადგან დირექტორებს მაინც-და-მაინც დიდი შრომა არა აქვსთო და მათი თანამდებობაც იმისთანა არის, რომ არ მოითხოვს სამეცნიერო დოქტორობას, ამიტომაც მათი ჯამაგირები 1800-დამ 1000 მანეთზე ჩამოვიყვანოთო. მეორე წევრი ბატ. დ. ლორთქ—ძე იმ აზრისა იყო, რომ ჯამაგირი დიდი არ არისო, მაგრამ მუდმივი ორი დირექტორი არ არის საჭირო, რადგან მაინცა-და-მაინც ბევრი საქმეები არა აქვთო.

**კირილე ლორ**—ძე გრძელს სიტყვაში ამტკიცებს, რომ ჯამაგირის მოკლებაზე უფრო სამართლიანი იქნება პროცენტები მოვუსპოთო და დირექტორი კი ისევ ორი დარჩეს, რადგან ბანკის გამგეობა კოლლეგიალური დაწესებულება არის და აუცილებლად კიდეც უნდა იყოსო.

**აკაკი** ეკერძება პროცენტების მოსპობას, მაგრამ შიშობს, რომ შარშანდელსავით წრეულსაც არ მოვა ამ კითხვის გარდასაწყვეტად $^2/_3$ უმრავლესობა. ამიტომაც შემოაქვს წინადადება იყაროს კენჭი შემდეგის წინასწარის პირობით: თუ $^2/_3$ მოუვიდეს შავს, მაშინ პროცენტები მოისპოს და თუ არა ჯამაგირი შემცირდეს **ათას** მანეთამდე.

მოლაპარაკეთ შორის მხოლოდ სამი იცავს დირექტორთ ჯამაგირების *statuquo'*-ს თ ა ვ ა დ ი ვლ. მიქელაძე, ვაჭარი ბატ. ქიზირია და თავ. ანტ. ლორთქ—ძე.

ბაასთ სიცხარის დროს სიტყვა მოითხოვა ბ. **ალშიბაიამ**. რეხიანის ხმით და ჩინებულის დიქციით, რომელიც იყიდდა ყველა აქ მოლაპარაკეს, მან წარმოსთქვა გრძნობის ბრძმედში გადახალისებული და გულით მოსავადებული სიტყვა, რომელშიაც კრების უმთავრესს ყურადღებას აქცევდა იმ დანიშნულებას, რომლისთვისაც დაფუძნდა ბანკი და იმ ზნეობითს მოვალეობაზე, რომელიც აწევსთ საზოგადოებას და ბანკში მოსამსახურეთ ბანკის შესახებ. უმრავლესობას ჰსურს მათი ჯამაგირის შემოკლება, მაგრამ რადგანც ეს საქმე კენჭით უნდა გადასწყდეს, ამიტომ ადვილი შესაძლებელია ეს სურვილი ამ გზით არ გამოცხადდეს, რადგანაც ჩვენში კენჭისყრით კაცის გადაყენებას ან მისთვის რამეს შემცირებას **„გალახვას"** უძახიან, და ეს მათი „გალახვა" შეიძლება ბევრმა არ ინებოს. ამის გამო ჩვენ მივმართავთ თვით მათს სულგრძელებასა და პატიოსნებას: არ ინებებენ ისინი თავიანთის ჯამაგირების დაკლებას ჩვენი ღარიბ მოსწავლე შვილების სასარგებლოთ, რომელთაც ჭუჭყი სჭამს და შიმშილი კუჭს უწვავს? მათ მოეხსენებათ ისიც, რომ სწორედ ასე სულ-გრძელებით მოიქცა შარშან ბატ. ნ. ღ—ძეც, რომელმაც თვითონვე დაიკლო 500 მანეთი ჯამაგირიდამ.

ამას უპასუხა წინაალმდეგად თ. ვლ. მ—ძემ, რომელიც იმ წამშივე ჩაჩახა აკაკიმ...

ჩოჩქოლი და ხმაურობა მატულობს თან-და-თან. აიბნენ თვით მოლაპარაკენი, ასე რომ აზრთ განხეთქილება მოახდინეს საზოგადოებაში, რომელიც ათიოდე წამის წინ ჯამაგირის შემცირებისკენ იყო. მოლაპარაკეთ თითქო ვერ გაიგეს თავსმჯდომარის განცხადება, რომ წრეულს წესდების შეცვლაზე ბაასი არ იქნებაო: მაინც პროცენტების მოსპობას ჰქადაგებენ ზოგიერთნი, მათგანნი, და ზოგი ჯამაგირს. **დ. აბდუშელი** მაგალითად, პროცენტების მოსპობის მომხრე, სულ განზე უხვევს და ხელ-ფეხის ქნევით მწარედ ამბობს, ჩვენს ბანკში მოსამსახურენი ზნეობითად ირყვნებიან, რადგანც ზოგს მათგანს აქვს სამუშაო და ზოგს არაო. საშუალება მოვნახოთ რამე, რომ მათ შორის შრომა თანასწორად იყოს განაწილებულიო და სხვ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სად ამ „საშუალების მოპოვება" და პროცენტების მოსპობაზე და ჯამაგირის შემცირებაზე ბაასი?

ამ გვარ განხეთქილების გაჭირვების დროს აკაკი ხელმეორედ ჰქადაგებს ჯამაგირების შემცირების საჭიროებას. კრების უმრავლესობა უწონებს მას სიტყვას.

— თანახმა ხართ თუ არა ჯამაგირის შემცირებისაო? ეკითხება მათ აკაკი.

— თანახმა ვართ! თითქმის ერთხმად უგებს მას კრება... ამ დროს ეჩხირება თავის გაჭიაყელებულის სიტყვით ბატ. დ. ნ—ოვი, რომელიც აკაკისავე აზრს ადგა, მაგრამ უხეირო სიტყვით შთაბეჭდილებას ახდენს და მით ღონისძიებას აძლევს მოწინაალმდეგეთ „საფუჩუნფუჩუნოს" პროპაგანდისათვის.

ხმის მიცემით რომ დაჰკითხებოდა კრებას თავსმჯდომარე, მაინც დარწმუნებული ვარ, ჯამაგირი შემცირდებოდა, მაგრამ არ ინება დალოცვილმა: „ბევრს ორი კენჭი აქვს და ორად ხომ ვერ იყვირებს", კენჭმა გაასწოროს ცილებაო.

ამ დროს დარბაზში შემოვიდა მ. ფალავასათვის სამეგრელოდამ მოსული ნიჯადი (შემინახული ჯარი), სამოციოდ-კენჭიანი „მარგალი-კოჩი"... ამათ მოითხოვეს სხდომის გადადება და ხანგრძლივის ჩოჩქოლის შემდეგ, როგორც იქნა მათი უკანონო სურვილი ასრულებულ იქმნა...

## დღიური

გუშინდელ 24 მაისის სხდომაზე ქალაქის **რჩევამ** დაამტკიცა ქალაქის გამგეობისაგან წარდგენილი აზრი ქალაქის ცეცხლის საქრობის კამანდისთვის საჯინიბოსა და თავლის გადაკეთებაზედ და ამისათვის 12,000 მან. ხარჯათ.

მეორემ გამგეობისაგან წარდგენილმა წინადადებამ უფრო ხანგრძლივი ბაასი ასტეხა. ეს იყო, ეხლანდელი **თათრის** მაედნიდამ, ამ ადგილის სივიწროვის და ბინძურობის გამო, ბაზარი გარდაეტანათ თთ. **სუ**ბათაანთ ადგილზედ. **დიდი** ბაასის შემდეგ, ესეც ხმის უმრავლესობით დაამტკიცეს, 19 ხმა იყო გადატანაზედ და ცხრა-იქვე დარჩენაზედ.

* * *

გავლილ კვირას, 23 მაისს, ქალა-
ქის რჩევის ზალაში შეკრებილნა იყვ-
ნენ ტფ. ვაჭრებისა, მესჩანებისა და
ხელოსნების წარმომადგენელნი ს-
ობლო სასამართლოისათვის თავმჯდო-
მარის ამოსარჩევად. კრებაში თავ-
მჯდომარეობდა თვითონ ქალაქის თ-
ვი ბ. ა. ს. მატინოვი, რომლის წინა-
დადებითაც სხდომის გახსნისათანა-
ქალაქის სეკრეტარმა ბ. პ. ა. იზმა-
ილოვმა წაიკითხა ის მუხლები კანო-
ნისა, რომელის იმ დღევანდელ კრე-
ბის საგანს შეეხებოდა. შემდეგ და-
სახელეს კანდიდატები ხსენებულ ს-
სამართლოის თავსმჯდომარისა; ს-
პირი იყო დასახლებული: ადრინდე-
თავსმჯდომარე ბ. ნ. შანშიევი, ნ.
ზუბალოვი და ს. პ. ზუბალოვი.
ორმა უკანასკნელმა კენჭის-ყრა-
უარი განაცხადეს; ამის გამო კე-
მარტო შანშიევს უყარეს და გამო-
ვიდა 75 თეთრი და 21 შავი.

* * *

კავკასიის მთავარ-მართებელს
დონდუკოვ-კორსაკოვს ამ თვის 1
გამოუვლია სიღნაღში და როგო-
იქიდამ გვაცნობებენ, თითქმის მ-
ლი ქალაქი და მაზრის თავად-აზ-
ურობა თავის წარმომადგენლით
რევაზ ვაჩნაძით მიგებებია ქალ-
სამზღვარზედ. მოკლე სიტყვაში,
მლითაც მარშალი მიგებებია მთა-
მმართებელს, სხვათა შორის, მო-
სენებია, რომ ერთი უმთავრესთ-
ჩვენი საჭიროება სწავლა-განათ-
არისო და ღარიბი თავად-აზნაურ-
იმედოვნებსო, რომ მხრით დაგვე-
რება მთავრობაო. თ. დონდუ-
კორსაკოვს დიდხანს ულაპარაკნია
ქის წარმომადგენლებთან და გას-
რებით თ. რევ. ვაჩნაძესთან რომ-
თვისაც უთქვამს, რომ შემდეგში
წვრილებით გავიცნობ კახეთის ს-
როებასო და რამდენათაც შესაძ-
ლი იქნება, ვეცდები დავაკმაყოფ-
ეს საჭიროებაო.

* * *

როგორც გაზ. „კავკაზში" ი-

---

თრთოლა ამტკიცებდა წარმოუდგენელს ტკივილს. ხორცი ცემით ისე დაეკეპა, როგორც გუფთა და ბოლოს ნაფლეთ-ნაფლეთი ასდევდა წკეპლებს და ცვიოდა აქა-იქ. მოხუცი თან და თან სუსტდებოდა, მაგრამ იმის პირს არც ხვეწნა და არც მუდარა წარმოუთქვამს. უკანასკნელმა მიხრწნილმა ხმამ კიდევ ლანძღვა და წყევლა გააგონა უსამართლო მტარვალებს და ამ სიტყვებთან ერთად იმან დაჰკარგა გრძნობა. ამ მდგომარეობაში კიდევ კარგა ხანს სცემეს, მაგრამ მოხუცი აღარ ინძრეოდა.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, აღარ ინძრევა, შენიშნა სალდათმა, რომელიც თავზედ აჯდა.

— ტყუილად იგონებს სიკვდილს! გულ-გრილად წარმოსთქვა ბძანებელმა და დაუმატა:—აბა კიდევ რამდენიმე ცხელ-ცხელი მიარტყით, მაშინა ვნახამთ.

სალდათები თუმცა ცდილობდნენ ბძანების ასრულებას, მაგრამ მოხუცი გონს აღარ მოვიდა, მკვდარსავით ეგდო.

როცა კარგად გული იჯერეს და დარწმუნდნენ, რომ მოხუცი არ ეშმაკობდა, იმათაც ხელი აიღეს ცემიდგან, ღამახინჯებული, დაფლეთილი შეაგდეს ერთს ოთახში, სადაც ჩქარა სული დალია უბედურმა, საშინელს ტანჯვასა და სულის ბრძოლაში. ის უკანასკნელად თითქოს მხოლოდ იმისთვის მოვიდა გონს, რომ უფრო ეგრძნო თავისი სიმარტოვე, უპატრონობა. იმას არ დაიტირებდნენ არც ცოლი, არც შვილი, არც ნათესაობა! იმის გვერდით არ იმყოფებოდა ისეთი პირი, რომელსაც წმინდა გულით შენანებოდა იმისი დაკლება. შენანებოდა ისე კი არა, როგორც ხარი, ცხენი, რომელიც საცხოვრებელს აძლევდა, არამედ ისე როგორც დასახლებული იმის გულში, რომელსაც ამისი სიკვდილით გულიდგან მართლა რაღაცა სწყდებოდა.

მოხუცმა გაახილა თვალები, მოიკრიფა უკანასკნელი ღონე, რომ წამოეწია, მას უკან წამოახრიალა ყელში შვილების სახელი, რუსების წყევლა და უკანასკნელს სიტყვებთან დალია სული...

—

ამ ხანში თორლას და კობას წყლის ბილიკი შეეკრათ ირმის ჯოგისთვის და მოუთმენლად ელოდნენ იმათ გამოჩენას.

გაიარა რამდენმა ხანმა ამ ლოდინში, მაგრამ ირმები თითქოს გან-
გებ არ ჩნდებოდნენ, თუმცა
ვად ისინი ამ ადგილებში შეუ-
არ დარჩენილიყვნენ, რადგან
აუარებელი რიცხვი ჯოგ-ჯოგ-
დიოდა მლაშეზედ სალოკად და
სასმელად.

იმედ-დაკარგულნი, ის იყო
წამომდგარნიყვნენ მონადირეებ-
წასულიყვნენ ბინისკენ, რო-
მოისმა ხმელი ფოთლების ფ-
და ხმელი წიწკების მტვრევა.

— მგონია, ღმერთი გვ-
წყნარად წასჩურჩულა თორლა-
ორთავ დაუწყეს ყურება იმ
საიდგანაც ფეხის ხმა ისმოდა.

ა. მოხხუბ

(გაგრძელება)

იან, წელს სიღნაღის მაზრაში (ელდარის მინდორში), ზანჯისა და ბაქოს გუბ. რამდენსამე ალაგას ამოუჩენიათ კალიის კვერცხები და იმ წამსვე ადგილობრივ ადმინისტრაციას განკარგულება მოუხდენია ამ კვერცხების დასაწვავად.

* * *

კახეთიდამ გვაცნობებენ, რომ გავლილ კვირაში იქითკენ სეტყვა ყოფილა და რამდენიმე სოფელი დაუსეტყვია. სხვათა შორის, დიდი ზარალი მიუცია თ. დ. ა. ჭავჭავაძის გამოჩენილ ნაფარეულის ზვრისათვის, კონდოლის და ზოგიერთ სხვა ვენახებისთვისაც.

* * *

„კავკაზში“ იწერებიან ქუთაისიდამ, რომ მხატვარი ზიჩი იქაურს საზნაურო ბაღში (?—ალბათ სამეფო სახლში) „მეფხვის ტყაოსნიდამ“ ცოცხალ-სურათების გამართვას აპირებსო. შემოსავალი უფასო საქალებო სკოლისთვის იქნებაო.

* * *

ეს ორი დღეა, გუშინ და გუშინწინ ისეთი სიცივეებია ქალაქში, რომ ზოგიერთები ზამთრის ტანთსაცმელით გამოდიან გარეთ. შეჰძლია, სადმე ახლო-მახლო სეტყვა უნდა მოსულიყოს.

* * *

პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, ადრინდელი სახალხო განათლების მინისტრი ბარონ ნიკოლაი ამ დღეებში ჩამოვიდა პეტერბურღში და ახლა აქედამ კავკასიაში მიდის საზაფხულოთაო.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**სიღნაღი, 10 მაისს.** არაფერი გაზაფხული, მოგვივიდა, თუმცა მოსავალს კარგი თვალი უჩანს. ჩვენი გლეხი მეტად მშვენიერ გაზაფხულის ამინდის გამო აპრილს მინდორში დაუხვდა ხელში გუთნით და ცოტა ხანში აქ-იქ დაიწყო შავება სიმინდისათვის და ფეტვისათვის მოხნულმა მიწამ.

სოფლებში ამ დროს ვერც ერთს გლეხს ვერა ნახავდით,—ისინი თავგამეტებით ებრძოდნენ ტრიალ ალაზნის მინდორს და ახლად გამწვანებულს მინდორს უცვლიდნენ შავად ფერს.

არც ბუნება დააგდებდა იმათ შრომას გულ-უხვივ დაუჯილდოებლივ; მაგრამ რომ იტყვიან, „ბედი უკუღმა დამიტრიალდაო“—სწორედ ეს ანდაზა ჩვენზე ითქმის:

როცა გლეხება ასე მოფენილნი იყვნენ მინდორს და მისცემოდნენ შრომას, დაიძახეს გამოყრუევებულ სოფლებში ბეგარა:—გზები უნდა გააკეთოთო. ვაჰ იმის ბრალი, ვინც იმავე დღეს არ გამოუცხადა მამასახლისს! სახლის დარბევას ვინა ჩივის, არც პატრონს გვერდებს არჩენდნენ.

წელ-მოწყვეტილი გლეხი იძულებული იყო დაენებებია თავი გუთნისათვის და წასულიყო გზის გასაკეთებლად ორი კვირით.

ბევრს გლეხს შემოდგომის ნათესი არა აქვს დათესილი გაზაფხულის იმედით. მხლა, როცა გაზაფხულმაც ასე უბედურად ჩაიარა იმისთვის, ადვილად წარმოსადგენია, რომ იმის ცოლ-შვილი მერმისათვის თუ მშივრები არ დაიხოცება, არც ამაზე კარგი დღე დაადგებათ.

რით უნდა გასცეს პასუხი ამ უბედურმა გლეხმა იმდენს სოფლის გადასახადს, რომელიც ყოველ წელიწადში უკანასკნელ გლეხს ორ თუმანზე მეტი უგროვდება, თუ არა გუთნით. გუთანი გლეხის ერთად-ერთი წყაროა სიცოცხლისა; თუ ამასაც აცდენენ, ამით ადმინისტრაცია აცხადებს სრულს გულ-გრილობას გლეხის კეთილ-მდგომარეობაზე. ჩვენის ფიქრით ადგილობრივ ადმინისტრაციას ამისთანა შემთხვევებში დიდი სიფრთხილე უნდა ჰქონდეს; გზები თუ საჭიროებდენ ვაკეთებას, მარტო მაშინ არ უნდა ჰკეთდებოდეს, როცა მოელიან ვისმე გამოჩენილს პირს. მართალია, გლეხს ისეთი წილი რგებია ამ წუთი სოფელში, რომ მთელ თავის სიცოცხლეში დაუჯილდოებელ წვალების მეტს ვერაფერს ხედავს და სუყოველთვის აქვს საკუთარი საქმე, მაინც ამისთანა საქმისთვის ის უფრო მიცლილია ზამთარში და პირველ გაზაფხულში, ვინემ სხვა დროს.

ქალი.

---

## ეს სადაური მოქალაქეა?

დღეს, როდესაც „შრომის“ 19 №-ში ვნახე ჩემ-და საპასუხოდ დაწერილი სტატია და ეგრეთ ხელ-მოწერილი: „ქუთაისის მოქალაქე“, ჩემ თავს ვკითხე: ვინ უნდა იყოს ეს ქუთაისის მოქალაქე-მეთქი? მაგრამ დიდი ხანი არ დამრჩენია ეს გაუგებელი. წავიკითხე თუ არა ბოლომდის ის სტატია, მაშინვე მივხვდი, რომ ეს ყოფილა „შრომის“ მოქალაქე და არა ქუთაისის. ზარდა ამისა განა თითონ ქართული ლექსიდამ არა სჩანს? ქუთაისში მცხოვრები მოქალაქე თავის თავს უწოდებს **ქუთათურ** მოქალაქედ და არა **ქუთაისის** მოქალაქედ. მაგრამ როგორ გგონიათ, როგორ გამოვიცანი მე ეს „შრომის“ მოქალაქე? განა არ გაგიგონიათ: „სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენო?“ ეს ბატონი „შრომის“ მოქალაქეც გამოაჩინა სიტყვამან მისმან. ამოდენი ლანძღვა, ამოდენი გინება, ამოდენი უსაფუძვლო ცილის-წამება, რაც ამ სტატიაში არის, ღმერთმა ყოველ მოქალაქეს აშოროს საზოგადოდ, და განსაკუთრებით ქუთათურ მოქალაქეს. ეს ღმერთმა მისცეს და მიანიჭოს. როგორც კიდევაცა აქვს მინიჭებული, „შრომის“ მოქალაქეს.

ამ სტატიის დამწერს „შრომის“ მოქალაქეს ერთი ძველი ანდაზა ხელი სჭირს: იუპიტერო, შენ მრისხანებ, მაშა სადამე დანაშაული უნდა გქონდესო იტყოდენ ძველი. „შრომის“ მოქალაქის სტატიის შინაარსი იმდენათ გასაკვირვია და იმდენათ აჩვენებს მკითხველს იმის დამწერის სულმოკლეობას და გონების სიბნელეს, რომ, ღვთის მადლით, მე ბევრი არა დამჭირდება-რა სათქმელათ შესახებ იმისა. ბედნიერად ვრაცხავ ჩემ თავს, თუ ამისთანა სტატიების დამწერი კაცები ცუდად მახსენებენ. დიდი უბედურობა იქნება ჩემთვის, რომ მე იმათ კარგათ მახსენონ. სასაცილო მხოლოდ ის არის და გასაკვირველიც, რომ ჩემმა სტატიამ, დაბეჭდილმა „დროების“ 94 №-ში, იმდენი ვაისი ასტეხა. რა გესლიანი იყო ის ჩემი სტატია, მე არ მესმის! რათ მოხდა რომ იმ სტატიის დაბეჭდვამ პოეტი თავის მუზას ჩამოაცილა; ექიმი —თავის ექიმობას და ღმერთმა იცის კიდევ ვის როგორ გარდუბრუნა ტვინი და ვინ რა გუნებაზე დაყენა! აღარ იციან, სად გამონახონ ცუდი სიტყვა ჩემდა სალანძღავად! ლანძღვის ლექსიკონიდამ, მგონი, ყველა სიტყვები იხმარეს! შეეშინდათ რაღაც იმათი წმინდა (!?) მწერლობის ასპარეზის გახვრისა! შეეშინდათ რაღაც იმათგან ეგრეთ-წოდებული ახალ თაობის!

ერთ ადგილას რომ ჩემზე სტატია იბეჭდება „შრმაში“, მეორე ადგილს იმავე ნომერში აცხადებენ, რომ აი კიდევ ამას და ამას ვბეჭდავთო! შეიძრნენ, თითქო „სამშობლო საშიშარ მდგომარეობაშია!“ ჩხრეკენ ამ ჩემ სტატიას, ამახინჯებენ იმის აზრს! და ამით უფრო საქვეოდ ხდიან იმ საქმეს, რომლის დასაცველად ეგრე სასაცილოდ ფხაკურობენ! იმას კი აღარ ჰფიქრობენ, რომ ჩემი სიტყვების შეცვლით, გადაბრუნ-გადმობრუნებით და დამახინჯებით ვერას გაარიგებენ, რადგან მკითხველი აიღებს ჩემს სტატიას „დროების“ 94 №-ში და „შრომის“ სტატიას 19 №-ში, შეადარებს იმათ ერთმანეთს და ყველაფერს ცხადათ დაინახავს.

შესანიშნავია, რამოდენი სულიერი სიმდაბლე უხმარია „შრომის“ მოქალაქეს (და არა ქუთათურ მოქალაქეს)! მაგალითად, აიღეთ შემდეგი სიტყვები: მე ვამბობ: „ვიწრო შეხედულება“. ისინი ამბობენ: „ვიწრო ჭკუა“. მე ვსთქვი შესახებ მოქალაქეებისა: „ცოტა საკუთარი მსჯელობა გამოიჩინეს მეთქი“. „შრომის“ მოქალაქე ამბობს: „მე შევნიშნეო უმეცრება და გონების სიბნელე, შეერთებული ზნეობის ურცხობასთან“ (№ 19 „შრომის“ №- 94 „დროება“). მართლა რომ ზნეობით ურცხვი უნდა იყოს ის, ვინც ამ გვარად დაამახინჯებს სხვის სიტყვებს იმ განზრახვით, რომ ცილი სწამოს. „გონების სიბნელე და ზნეობის ურცხობა“, როგორც ჩემი სტატიიდამ სჩანს, მიეწერება იმათ, ვინც კრებაში ლაპარაკობდა, რომ ბ. ფალავა მტერია კრედიტისაო, რადგან საადგილ-მამულო ბანკში მსახურობსო, და ბ. ფალავამ დაჰყარა ხმებიო, ვითომც ფულები შეჭამესო საურთიერთო კრედიტშიო, და არა შეეხება მოქალაქეებს, რომლებიდგანაც მე ამ გვარი არა გამიგია-რა.

მეტი სასაცილო რაღა იქნება, რომ „შრომის“ მოქალაქე შესდგომია ჩემი ცხოვრების წასულ ისტორიას. თითქმის ისიც კი უკვირს, რომ მე სამი წლის წინეთ საურთი-ერთო კრედიტის ბანკში ჩავიწერე, შევიტანე ასი მანეთი, მაგრამ მალე გამოველი ისევ და გამოვიტანე ჩემი ასი მანეთი: რა ანგარიში მქონდა-ვის რა უნდა; მაგრამ „შრომის“ მოქალაქეს ათას-ნაირი დასკვნა და ცილის-წამება გამოჰყავს აქედამ. იმისი აზრით, ჩემმა თავსმჯდომარეობამ საადგილ-მამულო ბანკის კრებაში რაღაც სასწაულები მოახდინა. იმისი აზრით, მე, როგორც ხმოვანმა, ქალაქისათვის არაფელი გავაკეთე.

მაგრამ, როგორ ლაპარაკობს ამაებზედ „შრომის“ მოქალაქე? ის ენას ვერ იბრუნებს ულანძღველად. ფაქტების მაგიერად გასვრილ სიტყვებს ისვრის. ალბად იმისი იმედი აქვს, რომ არავინ იკადრებს, რომ იმ გვარივე გასვრილი სიტყვებით უგოს მას პასუხი. როგორც ზევით ვსთქვი, ბედნიერად ვრაცხავ ჩემ თავს, რომ „შრომის“ მოქალაქე (და არა ქუთათური) მაგინებს. მე იმას არც ვსთხოვ სხვას რასმეს და არც მოველი, გინების გარდა. მართალია, მე ჩვენი ქალაქის რჩევაში ნიადაგ არ ვჭიჭყინობ და ზოგიერთებივით მუშტით არ მივიწევი ხმოვანის გასალახავათ, და წასულ ზამთარში ვერც დავდიოდი ავადმყოფობის მიზეზით, მაგრამ დაკვეხნათ ნუ ჩამამართმევთ, რომ ვთქვა რომ სხვაზე ნაკლებ სარგებლობს არც მე მოუტან ქალაქს ბევრ საქმეებში.

„შრომის“ მოქალაქე შეუნიშნევლად აღარ სტოვებს თითქმის არც ჩემ ხელის ჩამორთმევას, ღიმილს, ენატკბილობას და სხვ. ძალიან სალიტერატურო საგნებია ყველა ეს განა! ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ მეც „შრომის“ მოქალაქეს წავბაძე ცოტათი და თავი მოვაძულე ამ გვარი ლაპარაკით: მაგრამ რას იზამ, როდესაც იეზუიტი ფარისევლობას გწამებს, როდესაც ადამიანის უდროვოთ საიქიოში გამგზავნი-კაცთა სიმძულარეს გწამებს, როდესაც უსაქმო და სხვის ხარჯზე მცხოვრები-ტყუილა ყოფნას გწამებს, როდესაც ცრუ უხასიათობას გწამებს, და გწამებს იმისთვის, რომ საზოგადო საქმეში მომხდარ უწესობაზე და დაუდევნელობაზე

ორიოდე სიტყვა სთქვი გაზეთში და ცოტა სიმხნისა და სამოქალაქო მამაცობის რჩევა მიეცი შენთანა მოქალაქეებს?

ალექსანდრე ფიფინაშვილი.

მაისის 20 ქუთაისი.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარსალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

ხუთშაბათს 27 მაისს

მუზიკალურ საზოგადოების ზალაში (იარმუკაზე) ქართული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება ღარიბ ოჯახის სასარგებლოდ:

**ცოლი ვიტირო თუ ფული**

კომედია 4 მოქმ. თხზ. ა. თუთაევისა.

წარმოდგენის შემდეგ იქნება:

**ტანციობა.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

## გოგირდი

ყურმნის ავთმყოფობის ნაცრის მოსარჩენი წამალი ისყიდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ალექსანდროვის ბაღში) ფუთი 2 მან. 50 კაპ.; კახეთში ისყიდება სოფელს ვაჩნაძიანში ქ. ვლ. ჯანდიერისას, ფუთი 3 მან.

საბერველი, გოგირდის მოსაყრელად ვაზზედ, ისყიდება თითო 1 მანეთად. (5—2)

**კერძო სასწავლებელი კლიუჩარევისა და ზაგუმენაგოვისა (ადრინდელი ტერ-აკოფოვისა)** ამ თავითვე იღებს ყმაწვილებს, რომელთაც არ იციან ან თუ იციან ცოტათ რუსული ენა, ამ ენაზედ ვარჯიშობისათვის და პირველ დაწყებათი სწავლისათვისაც.

ადრესი სასწავლებლისა: სოლოლაკი, ბაღის ქუჩა № 38 (6—1)

სომეხთ ნერსესის პოპეჩიტელების სოვეტში არის დანიშნული 26 მაისს, საღამოს 8 საათზედ, პირველი ტორგი იჯარით გასაცემად წმიდასამთლის ვაჭრობისა სომეხთ ეკკლესიებზე და მრევლზედ.

მსურველს შეუძლიან წაკითხვა დაწვრილებით პირობებისა მაი სემინარიის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირისა და უქმ დღეების გარდა, დილის 10 საათიდამ ვიდრე 12 საათამდინ. 3—2)

### გამოწვევა

უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ვინც იცის სად არის და სად სცხოვრებს **ვენცელ ხრადეცკი** *(Wenzel Hradezky)* 28 წლისა, რომელიც რუსეთში წავიდა პრაგიდამ და ამას წინაზედ მსახურებდა მცხეთაში თ. მუხრანსკისთან, შემატყობინოს ყველა ამ კაცის შესახებ ცნობანი მე, რადგან პრაგის სასამართლოსაგან ვარ ამ ვენცელ ხრადეცკის მზრუნველად. ამ კაცს მოუკვდა მამა ანტონ ხრადეცკი ამ წლის იანვარში და დარჩა 25,000 ფლორინის მემკვიდრეობა.

ანტონ ველნერი.

ადვოკატი პრაგაში. ადრესი:

*Prag Obsmarkt*, № 12. (3—2)

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში ისყიდება ვაზის ავადმყოფობის „ნაცარის“ წამალი

## გოგირდი

ფასი, ფუთი—2 მან. და 50 კაპ. აქვე ისყიდება აგრეთვე საბერველები ამ გოგირდის ვაზზე მოსაყრელად, თითო თითო მანეთად. (7—3)

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

**გიორგი ნ. ძის იოსელიანის და ბ. რეცოლდის პანსიონში** იღებენ ზაფხულის თვეებში ყმაწვილებს მოსამზადებლად სამხედრო და სამოქალაქო გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებელში, საოსტატო ინსტიტუტში და სხვ.

მიხაილოვის ქუჩა სახლის № 81 (2—2)

### იურიდიული კაბინეტი

იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზე არხიტექტორის ბილოვის სახლში კელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—30)

### ექიმი შტემბორსკი

მიიღებს ვენერიულ და ხორცის კანის ავათმყოფებს მუდამ დღე დილის 9 საათიდამ 11 საათამდინ და საღამოს 4 საათიდამ 11 საათამდინ. ღარიბებს მიიღებს მუქთად.

ადრესი: სოლოლაკი სიდოვის ქუჩა, სახლის № 50. (10—10)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე ისყიდება: პაპიროსის 40 კაპ. დაწყებული; სტამბები, ბაკლე 10 კაპ—დამ; პალტოები 5 მ.—დამ; მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—86)

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მმართებლობა აცხადებს, რომ მისგან დაარსებულ ბათუმის სკოლაში გაიხსნება მასწავლებლების ვაკანცია თიბათვიდამ. ვისაც სურს ეს ადგილი დაიჭიროს, შეუძლიან წარმოადგინოს თხოვნა საზოგადოების სამწერლოში, (მთაწმინდა, ხევის ქუჩა, № 9.) (5—5)

### ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძის მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

სურამის და ხაშურის სტანციებში ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირი. ფასის შეტყობა შეიძლება სურამში ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—15)

### ტაქსა

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც ისყიდებიან თფილისის ბაზრებში, ... ნებში და დარჩება 16 მაისიდამ 1 ივნისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

პირველის ხარისხის—1 გირ.

მეორის „ —1 გირ.

მესამის „ —1 გირ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი

პირველის ხარისხის—1 გირ.

მეორის „ —1 გირ.

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში 1 გირ.

მეორის „ „ —1 გირ.

მესამის „ „ —1 გირ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის —1 გირ.

მეორის „ —1 გირ.

სუკი — — —1 გირ.

ცხვრის ხორცი 1 გირ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის —1 გირ.

მეორის „ —1 გირ.

ახლად ჩამოსული

# ბებია-ქალი

აქვს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელიც წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქვს ამ ქალაქის საზ... მო გამგეობისაგან რამოდენიმე მოწმობები თავის ხელობისა,—მიიღებს ავად-მყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქვს ამათთვის და... ზადებული ოთახები.

ადრესი: ელისავეტინის ქუჩა, სახლი 60.

(24—24) ბებია-ქალი **დობროდეევა—კაჟინსკაია**

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Мая 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მეს...